საქართველოს მთავრობის

დადგენილება №27

2014 წლის 3 იანვარი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის - „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე კარტოფილის (Solanum tuberosum 1.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების“ დამტკიცების შესახებ

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილების, 104-ე მუხლის მეორე ნაწილის, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული: ტექნიკური რეგლამენტი - „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე კარტოფილის (Solanum tuberosum 1.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების შესახებ“ დანართი (№1-2).

მუხლი 2

ძალადაკარულად გამოცხადდეს განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე კარტოფილის (Solanum tuberosum 1.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 2 ივნისის №2-85 ბრძანება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი 1

ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე კარტოფილის (Solanum tuberosum l.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების შესახებ

მუხლი 1. ობიექტი

გამოცდის წინამდებარე მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნეს კარტოფილის (Solanum tuberosum L.) ვეგეტატიურად გამრავლებადი ყველა ჯიშისათვის.

მუხლი 2. საჭირო მასალები

1. გამოსაცდელად წარმოდგენილ ჯიშების ტუბერების რაოდენობასა და ხარისხს, აგრეთვე მათი შემოტანის ადგილსა და ვადას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული პირი. უცხოელი განმცხადებელი ვალდებულია უზრუნველყოს ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დაცვა.
2. გამოცდის მთელი ციკლის განმავლობაში ყოველ სავეგეტაციო პერიოდში საჭიროა არანაკლებ 150 ცალი ტუბერი, რომლის ზომები 35-50 მმ-ია.
3. წარმოდგენილი ტუბერებს უნდა ახასიათებდეთ აღმოცენების მაღალი უნარი, შესახედაობით უნდა იყოს საღი და არ ჰქონდეს მავნებელ-დაავადებების მიერ მიყენებული დაზიანება.
4. ტუბერები არ უნდა დამუშავდეს პესტიციდებით კომპეტენტური ორგანოების თანხმობის გარეშე. თუ სარგავი მასალის შხამ-ქიმიკატებით დამუშავებას ჰქონდა ადგილი, მაშინ აუცილებელია თან ერთვოდეს მისი დეტალური აღწერა.

მუხლი 3. გამოცდის მეთოდი

1. გამოცდის მინიმალური ხანგრძლივობა მცენარის ზრდის ორი დამოუკიდებელი ციკლია. მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში გამოცდა მესამე წელსაც ტარდება.
2. გამოცდა უნდა ჩატარდეს ერთ ადგილზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერჩეულ ადგილზე შეუძლებელია რომელიმე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისების დადგენა, იგი უნდა გამოიცადოს დამატებით ადგილზე განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე (DUS).
3. გამოცდები უნდა ტარდებოდეს ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს ჯიშების დამაკმაყოფილებელ ზრდას, რაც შესაძლებელს ხდის დამახასიათებელი ნიშანთვისებების გამოვლენას. გამოცდა უნდა ჩატარდეს აგროწესების სრული დაცვით.

4. ჯიშების თავისებურებების შეფასებისთვის საჭირო განვითარების ოპტიმალური ფაზა ნაჩვენებია ნიშანთვისებების ცხრილის მეორე სვეტში. განვითარების ფაზების აღმნიშვნელი თითოეული რიცხვი მოცემულია მე9 მუხლში.
5. ჯიშების ნიშანთვისებებზე დაკვირვების რეკომენდებული მეთოდი თანდართული გასაღებით ნაჩვენებია ნიშანთვისებების ცხრილის მეორე სვეტში:
ა) MG: მცენარეთა ჯგუფების ან ნაწილების ერთჯერადი გაზომვები;
ბ) VG: მცენარეთა ჯგუფების ან ნაწილების ვიზუალური შეფასება ერთჯერადი დაკვირვებით.
6. თითოეულ ცდაში აღებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 60 მცენარე, რომლებიც დაყოფილ უნდა იქნეს სამ ან მეტ განმეორებად.
7. განმეორებათა სქემა ისეთი უნდა იყოს, რომ მცენარეების ან მათი ნაწილების აღიცხვების ჩატარების შემდეგ ხელი არ შეუშალოთ მომავალი დაკვირვებების ჩატარებას.
8. ყველა დაკვირვება 60 მცენარეზე უნდა ჩატარდეს, თუ სხვა რაოდენობა არ არის მითითებული.
9. შეიძლება ჩატარდეს დამატებითი ცდები შესაბამისი ნიშანთვისებების გამოსავლენად.

მუხლი 4. განსხვავებულობის, ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის შეფასება

1. განსხვავებულობის შესახებ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მომხმარებლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მეთოდის ზოგადი დებულებების წინასწარ გაცნობას, რათა შემდგომი ანალიზით უზრუნველყოფილ იქნეს მისი გამომხატველობა და სრულყოფა.
2. მეთოდის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ცდის მინიმალური ხანგრძლივობა საშუალებას იძლევა ნიშან-თვისებების გარანტირებულ განსხვავებულობის მოთხოვნის საკმარის მდგრადობას.
3. ორი ჯიშის განსხვავებულობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და შეიძლება განიხილოს როგორც გამოსაცდელი ნიშან-თვისებების გამოხატვის ტიპი, ე.ი. გამოხატულია თუ არა ხარისხობრივი, რაოდენობრივი თუ ფსევდო-ხარისხობრივი მანერით. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგად იცნობენ თუ არა ამ მეთოდის მომხმარებლები, კერძოდ, კი ზოგად დებულებებში მოცემულ რეკომენდაციებს, რათა მიღებულ იქნეს გარკვეულწილად სწორი გადაწყვეტილება.
4. ერთგვაროვნებაზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მომხმარებლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მეთოდის ზოგადი დებულებების წინასწარ გაცნობას, რათა შემდგომი ანალიზით უზრუნველყოფილ იქნეს მისი გამომხატველობა და სრულყოფა: ერთგვაროვნების შეფასებისთვის საჭიროა 1%იანი პოპულაციური სტანდარტის გამოყენებისას მიღებული ალბათობა, არანაკლებ 95%ია. ამ შემთხვევაში ნიმუშში 60 მცენარის არსებობისას დასაშვებია 2 არატიპური მცენარე. იმ შემთხვევაში კი,

როცა ნიმუშში 6 მცენარეა, არატიპური მცენარეების მაქსიმალური რაოდენობა ერთს არ უნდა აღემატებოდეს.

5. პრაქტიკაში ჩვეულებრივ არ გვხვდება, როდესაც სტაბილურობაზე გამოცდა არის ისე ზუსტად განსაზღვრული როგორც ამას ადგილი აქვს განსხვავებულობასა და ერთგვაროვნებაზე გამოცდის დროს. მიუხედავად ამისა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯიშების სხვადასხვა ტიპებში გამომჟღავნებული ერთგვაროვნებისას, შესაძლებელი იყო აგრეთვე მათი სტაბილურად ჩათვლა.

6. იქ სადაც დამახასიათებელია ან/და იმ შემთხვევაში, როდესაც საეჭვოა – სტაბილურობაზე გამოცდა, შეიძლება ჩატარდეს კარტოფილის შემდეგი თაობების აღზრდა ანდა მცენარის ახალი ჯიშების გამოცდით, რათა გარანტირებულები ვიყოთ იმ ნიშანთვისებების გამოვლენაზე, რომელიც ნაჩვენები იყო წინასწარი მასალების განხილვისას.

მუხლი 5. ჯიშების დაჯგუფება და მცენარეთა გამოცდა ზრდაზე

1. საცდელი ჯიშები ირგვება საცნობარე (საკოლექციო) ჯიშებთან ერთად, რომლებიც ნიშანთვისებების მსგავსების საფუძველზე უნდა დაიყოს ჯგუფებად, რათა იოლი გახდეს განსხვავებულობაზე მათი შეფასება.

2. ჯიშების ნიშან-თვისებების მიხედვით დასაჯგუფებლად გამოდიან პრაქტიკული გამოცდილებიდან და ირჩევენ ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც ან არ ვარირებენ ანდა განიცდიან უმნიშვნელო ცვლილებებს ჯიშის ფარგლებში და მათი ვარიაციის კოეფიცენტი კოლექციის შიგნით მეტნაკლებად თანაბრადაა განაწილებული. ამასთან, ჯიშების დასაჯგუფებლად შერჩევა ხდება მათზე არსებული ზოგადი ცოდნის მიხედვით, რათა გამოირიცხოს სავეგეტაციო ცდები განსხვავებულობის შესაფასებლად. ვეგეტატიური გამოცდები უნდა ჩატარდეს ისე, რომ მსგავსი ნიშან-თვისებების ჯიშები ერთად დაჯგუფდნენ.

3. შესაძლებელია გამოვყოთ სასარგებლო ნიშანთვისებების შემდეგი ჯგუფები:

ა) სინათლის ღივი: სილურჯის წილი ღივის ფუძის ანტოციანურ შეფერვაში (ნიშ. 4);

ბ) ყვავილის გვირგვინი: შიდა მხარის ანტოციანური შეფერვის ინტენსივობა (ნიშანი 33);

გ) ყვავილის გვირგვინი: სილურჯის წილი შიდა მხრის ანტოციანური შეფერვაში (ნიშ. 34);

დ) მცენარე: მომწიფების დრო (ნიშანი 36);

ე) ტუბერი: კანის ფერი (ნიშანი 39).

4. განსხვავებულობაზე გამოცდის დროს ჯგუფური ნიშან-თვისებების გამოყენების უზრუნველყოფა ხდება მართვის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 6. ნიშან-თვისებების ცხრილის წინასიტყვობა

1. ნიშან-თვისებების სტანდარტული ანალიზის სახელმძღვანელო არის ის, რომელიც დამტკიცებულია UPOV-ის მიერ DUS-ით გამოცდებისათვის და რომლითაც კავშირს შეუძლია შეარჩიოს მისთვის დამახასიათებელი გარემო-პირობებიდან გამომდინარე.

2. ვარსკლავითაა (*) მონიშნული ის ნიშან-თვისებები, რომლებიც შესულია საგამოცდო სახელმძღვანელოში, აქვს დიდი მნიშვნელობა ჯიშთა აღწერის საერთაშორიო ჰარმონიზაციისათვის, ყოველთვის უნდა გამოიცადოს DUSის მიხედვით და აღინიშნოს ვეგეტაციის ყველა პერიოდში, აგრეთვე, აუცილებლადაა ჩართული კავშირის ყველა წევრი ქვეყნის ტესტირებაში. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე გვაქვს ადგილობრივი პირობებით გამოწვეულ ამ ნიშების შეუთავსებადობასთან.

3. ყველა ნიშან-თვისება გამოხატულია მისი განსაზღვრით და ჰარმონიზებული აღწერით. თითოეული ნიშნის ეს გამოხატულება განლაგებულია შესაბამის რიცხვის წინ, რომელიც შესაძლებელს ხდის ადვილად მოხდეს ცვლილებები მონაცემებსა და აღწერილობაში.

4. ნიშანთ-ვისებების გამოხატვის ტიპი (ხარისხობრივი, რაოდენობრივი და ფსევდოხარისხობრივი) უზრუნველყოფილია ზოგადი დებულებებით.

5. თითოული ნიშანთვისებისათვის მოყვანილია ჯიში, ეტალონები, ამ ნიშნების ნათლად წარმოსადგენად.

6. პირობითი ნიშნები:

ა) (*) ვარსკლავიანი ნიშნები – ნახ. ნაკვეთი 6.1.2;

ბ) QL ხარისხობრივი ნიშან-თვისებები – ნახ. ნაკვეთი 6.3;

გ) QN რაოდენობრივი ნიშან-თვისებები – ნახ. ნაკვეთი 6.3;

დ) PQ ფსევდოხარისხობრივი ნიშან-თვისებები – ნახ. ნაკვეთი 6.3;

ე) (a) – (d) ნახეთ ნიშან-თვისებების ცხრილის განმარტება – მუხლი 8.

მუხლი 7. ნიშანთვისებების ცხრილი

N და პირობითი ნიშანიN	ფაზა და ნიშანთვისება	აღრიცცხვის წესი	ინდექსი	გამოხატვის ხარისხი	ეტალონი ჯიშები
1.	სინათლის ღივი:	VG	3	პატარა	Grata Погарский
(+)	ზომა	a	5	საშუალო	Diamant Жуковский ранный
QN			7	დიდი	Gloria Антонина
2	სინათლის ღივი:	VG	1	სფერული	Albas Невский
(*)	ფორმა	a	2	კვერცხისებური	Marabel Антонина
(+)			3	კონუსური	Binje Крепыш
QN			4	ფ.ცილინდრული	Diamant Петербургский
			5	ვ.ცილინდრული	
3	სინათლის ღივი:	VG	1	ძალიან სუსტი	Estima Петербургский

(*)	ფუძის ანტოციანური	a	2	სუსტი	Sante Ресурс, Погарский
(+)	შეფერვის		3	საშუალო	Grandifolia Аспия
QN	ინტენსიურობა		4	ძლიერი	Granola Жуковский ранный
			5	ძალიან ძლიერი	Red Duke of York Сказка
4	სინათლის ღივი:	VG	1	არაა ან ძ/სუსტია	Desiree Лукьяновский, Бело снежка
(*)	სილურჯის წილი	a	2	საშუალო	Pamina Скороплодный, Брянский ранный
(+)	ფუძის ანტოციანური		3	ბევრია	Agria Голубизна
QN	შეფერვაში				
5	სინათლის ღივი:	VG	1	არაა ან ძ/სუსტია	Sante Резерв
(*)	ფუძის შებუსვა	a	3	სუსტი	Diamant Антонина
(+)			5	საშუალო	Jonior Ресурс
QN			7	ძლიერი	Duke of York, Rikea; Невский
			9	ძ/ძლიერი	Carmona Жуковский ранный
6	სინათლის ღივი:	VG	3	პატარა	Quinta Лугавской
(+)	წვერის ზომა ფუძეს	a	5	საშუალო ზომის	Ukama Жуковский ранный
QN	თან შეფარდებით		7	დიდი	Erntestloz Антонина
7	სინათლის ღივი:	VG	1	დახურული	Quinta Петербургский
(+)	წვერის ზრდის ტიპი	a	3	გარდამავალი	Rita Невский
QN			5	ღია	Diamant Антонина
8	სინათლის ღივი:	VG	1	არაა ან ძ/სუსტია	Estima Чернский
(+)	წვერის ანტოციანური	a	3	სუსტი	Duke of York Жуковский ранный
QN	შეფერვა		5	საშუალო	Spunta Голубизна
			7	ძლიერი	Agria Крепыш
			9	ძალიან ძლიერი	Red Duke of York Сказка
9	სინათლის ღივი:	VG	1	არაა ან ძ/სუსტია	Талисман
(+)	წვერის შებუსვა	a	3	სუსტი	Quinta Петербургский
QN			5	საშუალო	Princess Брянская новинка
			7	ძლიერი	Elles Невский
			9	ძ/ძლიერი	Эффект
10	სინათლის ღივი:	VG	3	ცოტა	Estima, Sante Ресурс
(*)	ფესვის ბორცვების	a	5	საშუალო რბა	Binje Жуковский ранный
(+)	რბა		7	ბევრი	Belladonna Невский
QN					
11	სინათლის ღივი:	VG	3	მოკლე	Producent Холмогорский
(+)	გვერდითი	a	5	საშ. სიგრძის	Estima,Princesa Жуковский ранный
QN	ღივების სიგრძე		7	გრძელი	Spunta Юбилейный Жукова

12	მცენარე: შეფოთვლის	1	1	ღეროსი	Agria,Estima Жуковский ранный, Памятый Осиповой
(+)	ტიპი	VG	2	გარდამავალი	Premiere Крепыш
QN			3	ფოთლის	Kennebec Антонина
13	მცენარე: ჰაბიტუსი	1	3	სწორმდგომი	Quinta Петербургский, луговской
(*)		VG	5	ნახევრად სწორი	Desiree Невский
(+)			7	გაშლილი	Gloria Ресурс
QN					
14	ღერო: ანტოციანური	1	1	არაა ან ძ/სუსტია	Estima Невский
(*)	შეფერვა	VG	3	სუსტი	Atlantik Холмогорский
(+)			5	საშუალო	Saturna Жуковский ранный
QN			7	ძლიერი	Desiree Бежицкий
			9	ძალიან ძლიერი	Red Duke of York
15	ფოთოლი:კონტურული	1	3	პატარა	Kingston,Natalie Жуковский ранный
(+)	ზომა	VG	5	საშუალო	Grata Невский
QN		b	7	დიდი	Kennebec Холмогорский
16	ფოთოლი: გახსნილი	1	1	დახურული	Likaria Брянская
(+)	(სილუეტი)	VG	3	შუალედური	Premiere Жуковский ранный
QN		b	5	ღია	Grandifolia Невский
17	ფოთოლი: მეორადი	1	3	ცოტა	Solara Жуковский ранный
(+)	ფოთოლაკების რბა	VG	5	საშუალო რბა	Grata Стемлук
QN		b	7	ბევრი	Hercules Невский
18	ფოთოლი: მწვანე შეფ	1	3	ღია	Angela Невский
(+)	ერვის ინტენსიურობა	VG	5	საშუალო	Ulme Стемлук
QN		c	7	მუქი	Spunta Крепыш
19	ფოთოლი: ზედა	1	1	არაა ან ძ/სუსტია	Grata Невский
(+)	მხრის შუა ძარღვის	VG	3	სუსტი	Russet Burbank Чайка
QN	ანტოციანური	c	5	საშუალო	Camilla Донецкий
	შეფერვა		7	ძლიერი	Felicitas Спиридон
			9	ძალიან ძლიერი	Bildtstar, Roseval
20	გვერდითი ფოთლების	1	1	ძალიან პატარა	Inca Sun Лорх
(+)	მეორე წყვილი: ზომა	VG	3	პატარა	Grata Жуковский ранный
QN		b	5	საშუალო ზომის	Redstar Невский
			7	დიდი	Bintje Эффект
			9	ძალიან დიდი	Kennebec Ресурс
21	გვერდითი ფოთლების	1	3	ვიწრო	Russet Burbank Жуковский ранный
(+)	II წყვილი: სიგანის	VG	5	საშ. სიგანის	Desiree Невский
QN	შეფარდება სიგრძესთან	c	7	განიერი	Agria Стемлук
22	წვეროსი და გვერდითი	1	1	არაა ან ძ/სუსტია	Cherie

(+)	ფოთოლაკები: შეზრდის	VG	3	სუსტი	Premiere Жуковский ранный
QN	სიხშირე	c	5	საშუალო	Agria Невский
			7	ძლიერი	Romano Крепыш
			9	ძალიან ძლიერი	Riviera
23	ფოთოლაკი: ნაპირის	1	1	არაა ან ძ/სუსტია	Umatilla Russet Невский
(+)	ტალღისებურობა	VG	3	სუსტი	Grata Холмогорский
QN		c	5	საშუალო	Marabel Памяти Осиповой
			7	ძლიერი	Aiko Крепыш
			9	ძალიან ძლიერი	Sava Белоснежка
24	ფოთოლაკი: ძარღვების	1	3	ზედაპირული	Pirol Невский
(+)	სიღრმე	VG	5	საშ. სიღრმის	Premiere Жуковский ранный
QN		c	7	ღრმა	Bermadente Крепыш
25	ფოთოლაკი: ზედამხრის	1	3	მქრქალი	Bildstar,Salome Петербургский
(+)	სიპრიალე	VG	5	საშუალო	Grata Невский
QN		c	7	პრიალა	Christa Жуковский ранный
26	ფოთოლაკი: ფირფიტისა	1	1	არა აქვს	Загадка
QL	და წვეროს როზეტის	VG	9	აქვს	Алена, Невский
	შებუსვა	c			
27	ყვავილი: კოკრების	1	1	არაა ან ძ/სუსტია	Grata Невский
(+)	ანტოციანური შეფერვა	VG	3	სუსტი	Panda Никулинский
QN			5	საშუალო	Quinta Голубизна
			7	ძლიერი	Ponto Эффект
			9	ძალიან ძლიერი	Сьерра
28	მცენარე: სიმაღლე	2	1	ძალიან დაბალი	Mimi Ред Скарлетт
QN		VG	3	დაბალი	Atica Брянская новинка
			5	საშ. სიმაღლის	Leyla Невский
			7	მაღალი	Grata Антонина
			9	ძალიან მაღალი	Tomba Брянский красный
29	მცენარე: ყვავილების	2	3	დაბალი	Walli Корона
(*)	სიხშირე (რაოდენობა)	VG	5	საშუალო	Rita Аспия
QN			7	მაღალი	Agria Невский
			9	ძალიან მაღალი	Sibu Крепыш, Сьерра
30	ყვავილედი: ზომა	2	3	პატარა	Accent Удача
(+)		VG	5	საშ. ზომის	Grata Невский
QN			7	დიდი	Karakter Крепыш
31	ყვავილედი: ყუნწის	2	1	არაა ან ძ/სუსტია	Grata Акросия, Невский
(+)	ანტოციანური შეფერვა	VG	3	სუსტი	Aiko Антонина
QN			5	საშუალო	Saturna Эффект
			7	ძლიერი	Desiree Полесский, Розовый, Резерв
			9	ძალიან ძლიერი	Alhamra Сьерра, Победа

32	ყვავილის გვირგვინი:	2	3	პატარა	Sommergold Брянский ранный
(+)	ზომა	VG	5	საშ. ზომის	Grata Невский
QN			7	დიდი	Kardia Крепыш, Никулинслий
33	ყვავილის გვირგვინი:	2	1	არაა ან ძ/სუსტია	Grata Невский
(*)	შიდა მხრის	VG	3	სუსტი	Secura Памяти Осиповой
(+)	ანტოციანური შეფერვა	d	5	საშუალო	Ponto Бежицкий
QN			7	ძლიერი	Pomeroy
			9	ძალიან ძლიერი	Синецвет
34	ყვავილის გვირგვინი:	2	1	არაა ან ძ/სუსტია	Granola Невский
(*)	ანტოციანური შეფერვის	VG	2	საშუალო	Pamina Горянка, Акросия
(+)	შიდა მხრის სილურჯე	d	3	ბევრი	Recker Голубизна
QN					
35	ყვავილის გვირგვინი:	2	1	არაა ან ძ/პატარაა	Vitelotte Noir Невский
(*)	ანტოციანური შეფერვის	VG	3	პატარა	Bildstar,Rosella Крепыш
(+)	ზომა შიდა მხრეზე	d	5	საშუალო ზომის	Concurent
QN			7	დიდი	Panda
			9	ძალიან დიდი	Ponto
36	მცენარე: მომწიფების	3	1	ძალიან საადრეო	Christa Жуковский ранный
(*)	დრო	MG	3	საადრეო	Cilena Антонина
(+)			5	საშუალო	Nicola Аспия
QN			7	საგვიანო	Aula Белоусовский
			9	ძალიან საგვიანო	Produsent Брянский красный
37	ტუბერი: ფორმა	4	1	მომრგვალებული	Grata Никулинский
(*)		VG	2	ოვალურმომრგვალებული	Aula Брянская новинка
(+)			3	ოვალური	Diamant Невский
QN			4	ოვალურწაგრძელებული	Linda Спиридон
			5	წაგრძელებული	Spunta Юбилейный Жукова
			6	ძალიან გრძელი	Pompadour Вдохновение
38	ტუბერი: თვლების	4	1	ძ/ზედაპირული	Duke of York,Nadine Скарб
	სიღრმე	VG	3	ზედაპირული	Agria Голубизна
			5	საშ. სიღრმის	Erntestolz Брянский красный
			7	ღრმა	Elles Памятый Осиповой
			9	ძალიან ღრმა	Vitelotte Noir Броницлий
39	ტუბერი: კანის შეფერვა	4	1	ღია ქვიშისფერი	Nadine Погарский, Крепыш
(*)		VG	2	ყვითელი	Agria,Quarta Невский
(+)			3	წითელი	Desiree Брянский красный
QN			4	ნაწ. წითელი	Cara Снегирь, Жуковский ранный, Ильинский
			5	ლურჯი	Vitelotte Noir

			6	ნაწ. ლურჯი	Kestrel Донецкий, Евгирия
			7	მოწითალომოყავისფრო	Umatilla Rosset
40	ტუბერი: კვირტის ფუძის	4	1	თეთრი	Nadine Удача, Елизавета
(*)	შეფერვა	VG	2	ყვითელი	Agria Ресурс
QN			3	წითელი	Quarta Невский, Жуковский ранный, Брянская новинка
			4	ლურჯი	Vitelotte Noir Донецкий
41	ტუბერი: რბილობის	4	1	თეთრი	Russet Berbank Маламур,Удача
(*)	შეფერვა	VG	2	ნაღებისფერი	Estima Гарант,Голубизна,Букет
QN			3	ღია ყვითელი	Diamant Стемлук,Виза,Десница
			4	ყვითელი	Bildstar, Quarta Чайка,Накра
			5	მუქი ყვითელი	Princess Рамзай
			6	წითელი	Red Salad
			7	წითლად ჭრელი	Early Rose
			8	ლურჯი	Vitelotte Noir
			9	ლურჯად ჭრელი	Herd Laddie
42	ღია ქვიშისფერი და ყვითე	4	1	არაა ან მ/სუსტია	Estima Ресурс
(+)	ლი კანის მქონე ტუბერი:	VG	3	სუსტი	Diamant Корона
QN	კანის ანტოციანური შეფე		5	საშუალო	Charlotte Невский
	რვა და რეაქცია		7	ძლიერი	Granola Памятый Осиповой
	სინათლეზე		9	ძალიან ძლიერი	

მუხლი 8. ნიშან-თვისებების ცხრილის განმარტება

ცხრილის მესამე სვეტში მოცემული აღნიშვნები (a)-(b)-(c)-(d) უნდა გაგებული იქნეს შემდეგნაირად:

ა) (a) სინათლის ღივი: როგორც წესი, სინათლის ღივზე ყველა დაკვირვების ჩატარება უნდა მოხდეს მინიმუმ 6 ტუბერზე შემდეგი მეთოდით: სინათლის წყაროს ინტენსიურობა და სპექტრის შემადგენლობა უმთავრესი ფაქტორია ღივზე ნიშანთვისებების გამოსახატავად. სპექტრი განისაზღვრება გამოყენებული ნათურის ტიპითა და ძაბვით. განვითარების სისწრაფეზე ტემპერატურის გავლენა მცირეა, თუ ექსტრემალურ ტემპერატურებს თავს ავარიდებთ. ნიშნების გამოხატვის მაღალი ხარისხი მიიღწევა მაშინ, როდესაც სინათლის ღივის განვითარება ხდება ოთახის ტემპერატურაზე და განათება ხდება პატარა სავარვარო ნათურით (6V Ac /0.05 A), რომელიც იძლევა 5-10 ლუქსს სინათლის ინტენსივობას (დაახლოებით 8 ნათურა 1 $მ^2$ზე, ტუბერებიდან 25-40 სმ-ზე);

ბ) (b) ფოთოლი: ყველა დაკვირვება ტარდება მცენარის ცენტრიდან აღებულ მთლიანად განვითარებულ ფოთლებზე. ჩვეულებრივ იღებენ ყოველი 20 მცენარიდან 1 ფოთოლს მთავარი ღეროს შუადან;

გ) (c) ფოთოლი: ყველა დაკვირვება ტარდება მცენარის ცენტრიდან აღებულ სრულად განვითარებულ ფოთლებზე;

დ) (d) ყვავილი: ყველა დაკვირვება ყვავილის შეფერვაზე ხდება ახლად გახსნილი ყვავილის შიდა მხარეზე.

ნიშ.1-1. სინათლის ღივი



ნიშ.1-1. სინათლის ღივი ფორმა



სფერული	კვერცხისებური	კონუსური	ფართო ცილინდრული	ვიწრო ცილინდრული

ნიშ. 3. სინათლის ღივი: ფუძის ანტოციანური შეფერვის ინტენსიურობა
თუ ანტოციანური შეფერვა არ აღინიშნება, მაშინ სინათლის ღივი მწვანეა.
ნიშ. 3 და 34. სინათლის ღივი: ფუძის ანტოციანური შეფერვაში სილურჯის წილი (4) და ყვავილის გვირგვინი: სილურჯის წილი ყვავილის შიდა მხრის ანტოციანურ შეფერვაში (34)

ანტოციანინის ფერი განპირობებულია წითელი და ლურჯი კომპონენტებით. თუ ლურჯის წილი პროპორციაში დაბალია, მაშინ ანტოციანინი მოწითალო იისფერია, ხოლო თუ პროპორციაში ლურჯის რაოდენობა მაღალია, მაშინ იგი მოლურჯო იისფრად გვევლინება.



1 2 3

დახურული ინტერმედიალური ღია

ნიშ. 11 სინათლის ღივი: გვერდითი ყლორტების სიგრძე

3 5 7

მოკლე საშუალო გრძელი

ნიშ. 12 მცენარე: ფოთლების სტრუქტურა

ღეროს ტიპი: ფოთლები ღიაა, ღერო კარგად ჩანს.

გარდამავალი ტიპი: ფოთლები ნახევრად ღიაა, ღერო ნაწილობრივ ჩანს.

ფოთლოვანი ტიპი: ფოთლებით დახურული, ღერო ცუდად ან საერთოდ არა ჩანს.

1 ღეროს | 2 გარდამავალი | 3 ფოთლოვანი

ნიშ. 13 მცენარე: ჰაბიტუსი



3 სწორმდგომი | 5 ნახევრადსწორმდგომი | 7 გაფარჩხული

ნიშ. 14, 19, 27, 31, 35: ანტოციანური შეფერვა

ანტოციანური შეფერვის ხარისხი უნდა მთელ ფართობზე დადგინდეს, ხოლო განსხვავებულობა და ინტენსიურობა საერთოდ არ განიხილება. რაც შეეხება საყვავილე კვირტის ანტოციანურ შეფერვას იგი მთლიანად განვითარებულ კვირტზე დგინდება სანამ გვირგვინი დანახვა გახდება შესაძლებელი.

ნიშ. 15-25: ფოთლის ნიშნები



ნიშ. 16: ფოთოლი: ღია



1 3 5

1.დახურული 3.შუალედური 5.ღია

ნიშ. 17 ფოთოლი: მეორადი ფოთოლაკების არსებობა



3 5 7

სუსტი საშუალო ძლიერი

ნიშ. 21. გვერდითი ფოთოლაკების მეორე წყვილი: სიგანის შეფარდება სიგრძესთან

3 5 7

ვიწრო საშუალო სიგანის განიერი

ნიშ. 22. წვეროს და გვერდითი ფოთოლაკები: შეზრდის სიხშირე



1 2 3

შეზრდა არ აღინიშნება შეზრდა აღინიშნება

ნიშ. 33-35. ყვავილედისა და ყვავილის ნიშნები



ნიშ. 33. ყვავილის გვირგვინი: შიდამხრის ანტოციანური შეფერვის ინტენსიურობა
თუ შიდამხრის ანტოციანური შეფერვას "ადგილი არ აქვს", მაშინ გვირგვინი თეთრია.
ნიშ. 36. მცენარე: მომწიფების პერიოდი
მომწიფების პერიოდი მაშინ დგება, როდესაც მცენარის ფოთლების 80% კვდება.
ნიშ. 37. ტუბერი: ფორმა



1	2	3	4	5	6
მომრგვალებული	ოვალურად მრგვალი	ოვალური	მოგრძო ოვალური	გრძელი	ძალიან გრძელი

დომინანტ ფორმას განსაზღვრავენ თითოეული განმეორებისათვის ცალცალკე

ნიშ. 42. მხოლოდ ღია ქვიშისფერი და ყვითელკანიან ჯიშებისათვის: ტუბერი: სინათლის რეაქციაზე კანის ანტოციანური შეფერვა

ღია სილისფერი და ყვითელ კანიან ჯიშების კანში ანტოციანინის განვითარებას აფასებენ ან სრული 10 დღიანი დღის განათების ანდა 150 სთ-იანი ხელოვნური განათების შემდეგ.

მუხლი 9. ნიშანთვისებების შეფასებაში განვითარების ოპტიმალური ფაზა

1. 1 = კვირტის ფაზა
2. 2 = ყვავილობა
3. 3 = ტუბერების მომწიფების ფაზა
4. 4 = აღების შემდეგი პერიოდი

დანართი N2

ა ნ კ ე ტ ა

1. კულტურა კარტოფილი Solanum tuberosum L.
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)
2. განმცხადებელი ----------
(სახელი და გვარი, მისამართი)
3. ჯიშის შეთავაზებული დასახელება_____
სელექციური ნომერი_____
4. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანასა და გამრავლებაზე
4.1. გამოყვანის მეთოდი:
ჯიში მიღებულია:
4.1.1 შეჯვარება
(ა) კონტროლირებადი შეჯვარება [ ]
(უჩვენეთ მშობელი ჯიშები)_____
(ბ) ნაწილობრივ უკონტროლო შეჯვარება [ ]
(უჩვენეთ ცნობილი მშობელი ჯიში(ები)_____
(გ) მთლიანად უკონტროლო შეჯვარება [ ]
4.1.2 მუტაცია [ ]
(თუ შეიძლება უჩვენეთ მშობელი ჯიში)_____
4.1.3 ნაპოვნი [ ]
(აჩვენეთ სად და როდის აღმოაჩინეს და როგორ სრულყვეს) _____
_____
4.1.4 სხვა [ ]
(აჩვენეთ დეტალები) _____
4.2 ჯიშის გამრავლების ინფორმაცია
4.2.1 ვეგეტატიური გამრავლება

(ა) ტუბერებით [ ]

(ბ) სხვა (აჩვენეთ მეთოდი) [ ]

4.2.2 სხვა [ ]

(აჩვენეთ დეტალები)_____

5. ჯიშის ნიშანთვისებები (რიცხვი ფრჩხილებში მიუთითებს ნიშნის ნომერს ნიშანთვისებების ცხრილში). კვადრატულ ფრჩხილებში კი აჩვენთ ნიშნის გამოხატვის ხარისხი.

N	ნიშანი	ინდ ექსი	გამოხატვის ხარისხი	ეტალონი ჯიშები
5.1	სინათლის ღივი: სილუ	1[ ]	არაა ან ძ/სუსტია	Desiree Лукьяновский, Бело снежка
(4)	სილურჯის წილი ფუძის ანტოციანურ	2[ ]	საშუალო	Pamina Скороплодный, Брянский ранный
	შეფერვაში	3[ ]	ბევრია	Agria Голубизна
5.2	მცენარე: ყვავილების	3[ ]	დაბალი	Walli Корона
(29)	სიხშირე (რაოდენობა)	5[ ]	საშუალო	Rita Аспия
		7[ ]	მაღალი	Agria Невский
		9[ ]	ძალიან მაღალი	Sibu Крепыш, Сьерра
5.3	ყვავილის გვირგვინი:	1[ ]	არაა ან ძ/სუსტია	Grata Невский
(33)	შიდა მხრის	3[ ]	სუსტი	Secura Памяти Осиповой
	ანტოციანური შეფერვა	5[ ]	საშუალო	Ponto Бежицкий
		7[ ]	ძლიერი	Pomeroy
		9[ ]	ძალიან ძლიერი	Синецвет
5.4	ყვავილის გვირგვინი:	1[ ]	არაა ან ძ/სუსტია	Granola Невский
(34)	ანტოციანური შეფერვის	3[ ]	საშუალო	Pamina Горянка, Акросия
	შიდა მხრის სილურჯე	5[ ]	ბევრი	Recker Голубизна
5.5	მცენარე: მომწიფების	1[ ]	ძალიან საადრეო	Christa Жуковский ранный
(36)	დრო	3[ ]	საადრეო	Cilena Антонина
		5[ ]	საშუალო	Nicola Аспия
		7[ ]	საგვიანო	Aula Белоусовский
		9[ ]	ძალიან საგვიანო	Produsent Брянский красный
5.6	ტუბერი: ფორმა	1[ ]	მომრგვალებული	Grata Никулинский
(37)		2[ ]	ოვალურ მომრგვალებული	Aula Брянская новинка
		3[ ]	ოვალური	Diamant Невский
		4[ ]	ოვალურწაგრძელებული	Linda Спиридон
		5[ ]	წაგრძელებული	Spunta Юбилейный Жукова
		6[ ]	ძალიან გრძელი	Pompadour Вдохновение
5.7	ტუბერი: კანის შეფერვა	1[ ]	ღია ქვიშისფერი	Nadine Погарский, Крепыш
(39)		2[ ]	ყვითელი	Agria,Quarta Невский
		3[ ]	წითელი	Desiree Брянский красный
		4[ ]	ნაწ. წითელი	Cara Снегирь, Жуковский ранный, Ильинский
		5[ ]	ლურჯი	Vitelotte Noir
		6[ ]	ნაწ. ლურჯი	Kestrel Донецкий, Евгирия
		7[ ]	მოწითალომოყავისფრო	Umatilla Rosset

5.8	ტუბერი: კვირტის	1[ ]	თეთრი	Nadine Удача, Елизавета
(40)	ფუძის შეფერვა	2[ ]	ყვითელი	Agria Ресурс
		3[ ]	წითელი	Quarta Невский, Жуковский ранный, Брянская новинка
		4[ ]	ლურჯი	Vitelotte Noir Донецкий
5.9	ტუბერი: რბილობის	1[ ]	თეთრი	Russet Berbank Маламур,Удача
(41)	შეფერვა	2[ ]	ნაღებისფერი	Estima Гарант,Голубизна,Букет
		3[ ]	ღია ყვითელი	Diamant Стемлук,Виза,Десница
		4[ ]	ყვითელი	Bildstar, Quarta Чайка,Накра
		5[ ]	მუქი ყვითელი	Princess Рамзай
		6[ ]	წითელი	Red Salad
		7[ ]	წითლად ჭრელი	Early Rose
		8[ ]	ლურჯი	Vitelotte Noir

6. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება

მსგავსი ჯიშის სახელი	ნიშნები რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან	ნიშნის გამოხატვის ხარისხი	
		მსგავსი ჯიში	კანდიდატი ჯიში

7. დამატებითი ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება ჯიშთა გამოცდაში.

7.1 5 და 6 პუნქტში მოყვანილი ინფორმაციის გარდა თუ არსებობს დამატებითი ნიშანთვისებები, რომელიც დაგვეხმარება ჯიშის განსხვავებაში

დიახ [ ] არა [ ]

(თუ დიახ, აჩვენეთ დეტალურად) _____

_____

7.2 ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები.

7.2.1 ჯიშის მოსაყვანად ანდა გამოსაცდელად არის თუ არა საჭირო განსაკუთრებული პირობები?

დიახ [ ] არა [ ]

(თუ დიახ, აჩვენეთ დეტალურად) _____

_____

7.3 სხვა ინფორმაცია.

_____

_____

_____

8. ნებართვის უფლებამოსილება

(ა) სჭირდება თუ არა ჯიშს წინასწარი ნებართვა, რათა დაშვებულ იქნეს გამოსაყენებლად თანახმად ბუნების დაცვის, ადამიანისა და ცხოველთა ჯანმრთელობის კანონებისა?

დიახ [ ] არა [ ]

მიღებული აქვს თუ არა ასეთი ნებართვები?

დიახ [ ] არა [ ]

თუ მიღებული აქვს დაურთეთ მოცემული ნებართვის კოპიო.

9. ინფორმაცია მცენარეულ მასალაზე, რომელიც წარდგენილია გამოსაცდელად

9.1 ჯიშის ნიშან-თვისების ან თვისებების გამოხატვის ხარისხი შეიძლება დამახინჯდეს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, როგორიცაა მავნებლები და დაავადებები, ქიმიური დამუშავება (ე.ი. ზრდის სტიმულიატორები ანდა პესტიციდები), მცენარეების მიღება ქსოვილოვანი კულტურის საშუალებით, ან ფესვის ამონაყრებით, ანდა მცენარის განვითარების სხვადასხვა ფაზაში მისი გამონაზარდებით და ა.შ.

9.2 მცენარეული მასალა არ უნდა იყოს დამუშავებული ისეთი შხამქიმიკატებით, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ნიშან-თვისებების გამოვლენის ხარისხზე და თუ დამუშავებას მაინც ჰქონდა ადგილი, მაშინ აუცილებელია მისი დეტალურად აღწერა.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ნაჩვენები იქნეს სრული ინფორმაცია იმ მცენარეულ მასალისა, რომელიც იცდება განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე:

(ა) აღენიშნება მიკროორგანიზმები (ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები)

დიახ [ ] არა [ ]

(ბ) განიცადა ქიმიური დამუშავება (ზრდის სტიმულიატორებით ან პესტიციდებით)

დიახ [ ] არა [ ]

(გ) მიღებულია ქსოვილოვანი კულტურით

დიახ [ ] არა [ ]

სხვა ფაქტორები

დიახ [ ] არა [ ]

დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ დეტალები.

_____

ხელმოწერა_____ "____"_____წ.